05 OCTOMBRIE

RUGACIUNEA

SF.CUVIOS

GRIGORIE DE LA KANTA GEORGIEI

სავედრებელი ლოცვა

ჲ, ნათელ-ცისკროვნო ვარსკულავო უდაბნოჲსაო, განმანათლებელო ივერთა მიწა-წყლისაო და ყოველთა მკჳდრთა მისთაო, ზეცით მონიჭებულო სიმტკიცეო მართლმადიდებელთაო და დიდო არქიმანდრიტო კლარჯეთისა სავანეთაო, თანამზრახუალო და მოდასეო ანგელოზთაო და წინამძღუარო მონაზონთაო, მამათა სიქადულო, მთავართა დიდებაო და მჴედართა ძლიერებაო, ჴელმწიფეთა თუალუხვავად მამხილებელო და კუერთხითა სწავლისაჲთა განმსწავლელო, მრავალთა სასწაულთა მოქმედო, ღირსო მამაო ჩუენო გრიგოლ ხანძთელო!

ჲ, ყოვლად ნეტარო მამაო და წმიდაო მოღუაწეო, საკჳრველთმოქმედო გრიგოლ ხანძთელო! სრულ-ჰყავ რაჲ სრბაჲ შენი და მიიცუალე წინაშე ღმრთისა, არაჲვე დაუტევენ ობლად მოწაფენი და მოსურნენი თჳსნი, არამედ მამობრივითა მეოხებითა შენითა

მსწრაფლ შეეწევი სულთაგან არაწმიდათა
შეპყრობილთა და ყოველთა მვედრებელთა შენთა
მოსცემ ლხინებასა, გარნა აწ მთავარნი
უსჯულოებისანი აღძრულ არიან ჩუენ ზედა და
იღუწიან განხრწნასა და აღსპობასა ერისა ჩუენისასა,
ხოლო ჩუენ ძილის დაჴსნილებასა მივცემივართ და
ვერცაღა ძალ-გვიძს წინა-აღდგომად მათთა. არამედ
გუაქუს მეოხებაჲ შენი ქრისტჱს მიმართ, ღირს-გვყოს
წინაჲსწარ-მეტყუელებათა შენთა აღსრულებისა და
მოგვცეს მეფჱ, სარწმუნოჲ და მართალი,
მმართებელად და წინამძღურად, ვითარცა დავით
ისრაელთა, რაჲთამცა კეთილად განაგებდეს და
იურვოდეს ღმრთისმშობლის წილხვედრსა ერსა
ჩუენსა, მტჴრთველსა საუფლოჲსა ჯუარისასა
ქუეყანასა ზედა, და აღადგენდეს მამულისა ჩუენისა
ერთობასა და აღამაღლებდეს ღირსებასა და
ძლიერებასა ქუეყანისა და ნათასავისა ჩუენისასა.
განაძლიერე მსახურებასა შინა უწმიდესი და
უნეტარესი, სრულიად საქართველოჲს კათალიკოს-
პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი,
დიდი მეუფჱ, მამაჲ ჩუენი ილია,
ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი,
მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატი-ოსანნი
მღდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი

სამონაზვნო წესნი, ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი, ხოლო კეთილისმყოფელნი ჩუენნი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი დაიცვენ პატიოსნითა მეოხებითა შენითა.

ჲ, მწყემსო ჭეშმარიტო ქრისტჱს სამწყსოთაო და დიდო წინამძღუარო მამათაო, ივერთა ეკლესიისა მნათობო და შესავედრებელო და ძალო სარწმუნოებითა შენდამი შევრდომილთაო, წმიდაო გრიგოლ ხანძთელო! შეგვეწიენ აღმოსლვად სიღრმეთაგან ცოდვათაჲსა და ლმობიერად ეევედრე ღმერთსა, რაჲთა მოჰმადლოს ეკლესიათა დიდებაჲ, სამღდელოთა პატიოსნებაჲ, მთავართა კეთილად მწყსაჲ ერისაჲ, მჴედართა მამაცობაჲ, ერისაგანთა უცოდველობაჲ, დედათა კრძალულებაჲ და შვილთა კეთილ-ზრდილობაჲ, ხოლო ჩუენ აღგვიდგინოს სიმართლის მოყუარებაჲ და მჴნეობაჲ სულისაჲ, მრავალშვილიანობაჲ, ქვრივ-ობოლთა შეწყალებაჲ და ურთიერთთანადგომაჲ. მოგუანიჭოს სიწმიდით ცხოვრებისა სიყუარული, უჯეროთა საქმეთა სიძულვილი და გულისა შემუსრჳლებაჲ, წმიდათა თანა გჳრგჳნოსნებაჲ და ცათა სასუფეველისა დამკჳდრებაჲ, რაჲთა ჩუენცა შენ თანა ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.